ეროვნული ბიბლიოთეკა


# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| | | |
|---|---|---|
| 1930 წლის მარტის 1. | № 4 | ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმეთა მმართველობის მიერ გამოცემული. |
| | განყოფილება პირველი | |


## შინაარსი:


მუხ. 34. „ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების“ 32 მუხლისათვის მე 2 შენიშვნის დამატების შესახებ.

„ 35. „საკავკასიონრო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 36. იმის გამოცხადების შესახებ, რომ ა/კსფსრ ტერიტორია რჩოსანი საკონლის ჭირის მხრით საშშვიდობოა.

„ 37. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასალებისათვის გადახდევინებული ჯარიმებისა და კონფისკეფული საგნების გაყიდვით შემოსული თანხების განაწილების წესის შესახებ.

„ 38. ცოცხალი საწევი ძალით მომქმედი სამაჭანო სადგურებისა და კოლონების შესახებ.

„ 39. „კულტკერი ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების მე-5—8 მუხლებით გათვალისწინებული წესების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 40. სამენი მასალის წარმოებაში კოოპერაციის მონაწილეობის გაძლიერების შესახებ.

„ 41. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ვადამდე არჩევის შესახებ.

„ 42. საიალაღო კომიტეტების მოწყობის შესახებ.

„ 43. საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიქტების მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის შესახებ.

„ 44. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

„ 45. ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 19-ის დადგენილების თანახმად, რა დადგენილებითაც გათვალისწინებულია სადისციპლინო გადასახდელთა დადება სარკინისგზო ტრანსპორტის იმ მომუშავეთათვის, რომელთაც დაარღვიეს მათთვის დადგენილი ტეხნიკური წესები და მით გამოიწვიეს რკინის გზის მოძრაობასთან დაკავშირებული შემოხვევები.

„ 46. დაწესებულებასა და საწარმოში დაწინაურებულ პირთა მუშაობის პირობების შესახებ.

„ 47. საბინაო-საოჯახო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

„ 48. სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების შესახებ.
„ 49. „სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების დამატების შესახებ.
„ 50. საგაზაფხულო თესვის კამპანიის საშუალოსის მსვლელობის შესახებ—1930 წ. თებერვლის 10-ისათვის ქონებული ცნობების მიხედვით.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 34. „ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების“ 32 მუხლისათვის მეორე შენიშვნის დამატების შესახებ.

„სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა—1927 წ. მაისის 25-ის—დებულების 33 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 16-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 68 №-ი, მუხ. 636)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის თანხა,—რომელზედაც არა უმეტესი კრედიტის გადატან-გადმოტანა საერთო-ფედერატიული ბიუჯეტიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში ან წინაუკმოდ, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რომელიმე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მეორე რესპუბლიკის ბიუჯეტში შეიძლება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით დაინტერესებულ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საერთო-ფედერატიულ უწყებასთან,—განისაზღვროს 500.000 მან. რაოდენობით.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად „ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა—1929 წ. სექტემბრის 27-ის—დებულების 32 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 166) დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**„შენიშვნა 2.** კრედიტების გადატანა საერთო-ფედერატიული ბიუჯეტიდან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში და წინაუკმოდ, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მეორე რესპუბლიკის ბიუჯეტში (ამა მუხლის „დ“ პუნ.) ისეთ შემთხვევაში, როდესაც კრედიტის თანხა ნახევარ მილიონ მან. არ აღემატება, მოხდება: პირველ შემთხვევაში—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით დაინტერესებულ საერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერატიულ უწყებასთან და სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან, ხოლო მეორე შემთხვევაში—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შეთანხმებით".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 8.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**35. „სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" პუნქტისა და მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37) 1-ლი მუხლის „ა" პუნქტი და მე-5 მუხლის პირველი აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. „ა) სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების წესდება—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ".

5. მე-5 მუხლის პირველი აბზაცი „1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნულ სააქციონერო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წინ გამოთხოვილ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის—კუთვნილებისამებრ—წინასწარი ნებართვა საზოგადოების დაარსებისათვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 8.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 36. იმის გამოცხადების შესახებ, რომ ა/კსფსრ ტერიტორია რქოსანი საქონლის ჭირის მხრით სამშვიდობოა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამოცხადებულ იქნეს, რომ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია 1930 წ. იანვრის 1-დან სამშვიდობოა რქოსანი საქონლის ჭირის მხრით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 8.
ტფილისი-სასახლე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 37. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის გადახდევინებული ჯარიმებისა და კონფისკეული საგნების გაყიდვით შემოსული თანხების განაწილების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სააქციზო წესების დარღვევისათვის დასადებ გადასახდელთა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 66 №-ი, მუხ. 615)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 ივნისის 21-ის და 1927 წ. იანვრის 17-ის დადგენილებებში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 681 და 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 27) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. 1-ლ მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

**შენიშვნა 1.** უკეთუ სააქციზო წესების დარღვევას აღმოაჩენს საოფლო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის აგენტი ამ ორგანოების ქვემდებარე ტერიტორიაზე, კონფისკეული საგნების გაყიდვით შემოსული თანხიდან, ამა მუხლის წესისამებრ, ხაზინის შემოსავალში გადასარიცხი 25%-ი შეიტანება სასოფლო ბიუჯეტში, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბიუჯეტი არ არსებობს,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო ბიუჯეტში“.

„**შენიშვნა 2.** საგადასახადო ინსპექციის აგენტებს და აგრეთვე იმ პირებს, რომელთა უშუალო ხელქვეითობაშიაც ეს აგენტები არიან, ამა მუხლით გათვალისწინებული გასამრჯელო არ მიეცემათ და მათი, როგორც აღმომჩენთა და დამჭერთა, ხვედრი გასამრჯელო ჩაირიცხება, შესაბამისობით, ადგილობრივ სახსარში ან ხაზინის შემოსავალში“.

2. მე-2 მუხლში სიტყვები: „დაეკისრებათ არაპირდაპირი გადასახედების აგენტებს“ შეიცვალოს“ სიტყვებად: „დეკისრებათ იმ საფინანსო ორგანოებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გადასახადების გადახდევინება“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 8.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 212 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 38. ცოცხალი საწევი ძალით მომქმედი სამანქანო სადგურებისა და კოლონების შესახებ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პრობლემის ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის ელემენტს წარმოადგენს საკითხი ისეთი ტეხნიკური ბაზისის შექმნისა, რაც უზრუნველჰყოფს მუშაობის კოლექტიურად ჩატარებას როგორც არსებულ, ისე ახლად შესაქმნელ კოლექტიურ მეურნეობებში და საწარმოო შენაერთებში. რადგანაც უახლოესი წლების განმავლობაში შეუძლებელია იმის განხოციელება, რომ ყველა კოლექტიურ მეურნეობაში ცხენისა და ხარის საწევი ძალა ერთიანად სამანქანო (სატრაქტორო) საწევი ძალით შეიცვალოს, ამიტომ საჭიროა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სამანქანო-სატრაქტორო კოლონების მოწყობასთან ერთად, ფართოდ გაიშალოს მუშაობა გარდამავალი პერიოდისათვის ისეთი სამანქანო სადგურებისა და კოლონების შესაქმნელად, სადაც მძრავ ძალად იქნებიან ცხენები და ხარები, ან სადაც სამანქანო საწევი ძალა შეეთავსება ცოცხალ საწევ ძალას.

ცოცხალძალიანი სადგურები და კოლონები უნდა მოეწყოს ყველა იმ სულიერი და უსულო ინვენტარის განსაზოგადოებს საშუალებით, რაც კოლექტიურ მეურნეობათა და საწარმოო კოოპერატიულ შენაერთთა წევრების ინდივიდუალურ სარგებლობაშია; ამასთანავე, ეს ინვენტარი შეესებულ უნდა იქნეს არსებული გამქირავებელი პუნქტების მანქანებით.

ამ მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. დაავალონ კოლექტიურ-სამეურნეო ცენტრებსა და რესპუბლიკანურ კოოპერატიულ კავშირებს:

ა) მოახდინონ თვითეული იმ რაიონისათვის, სადაც მოწყობილი იქნება ცოცხალ-საწევ-ძალიანი სადგური ან კოლონა, განსასაზოგადოებელი სულიერი და უსულო ინვენტარის აღნუსხვა და გამოარკვიონ, რაოდენი დამატებითი ცოცხალი ძალა და მანქანა იქნება საჭირო სადგურებისა და კოლონების მუშაობის სავსებით გაშლისათვის;

ბ) ის მუშა საქონელი და ინვენტარი, რაც დაგროვდება კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაციის შემდეგ, გადასცენ იმ რაიონებში მოწყობილ კოლონებსა და სადგურებს, სადაც თვალსაჩინოა სულიერი და უსულო ინვენტარის ნაკლებობა.

2. დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებსა და კოლექტიურ-სამეურნეო ცენტრებს:

ა) სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილების დროს — პირველ რიგში, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შემდეგ, დაამა-

ყოფილონ ახლად მოწყობილი ცოცხალ-საწევ-ძალიანი სადგურებისა და კოლონების მოთხოვნილება მანქანებისადმი;

ბ) ჩაატარონ იმ სულიერი და უსულო ინვენტარის აღნუსხვა, რაც განთავისუფლდება ისეთ რაიონებში, სადაც მიმდინარე წელს მოწყობილ იქნება სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სამანქანო-სატრაქტორო კოლონები;

გ) მოაწყონ ჭარბი სულიერი და უსულო ინვენტარის შესყიდვა;

დ) გადასცენ შესყიდული ინვენტარი ახლად მოწყობილ ცოცხალ-საწევ-ძალიან სადგურებსა და კოლონებს.

II. საჭიროდ იქნეს ცნობილი სადგურებისა და კოლონების დაარსება ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ასორტიმენტით, რაც ხელს შეუწყობს ყველა სამინდვრო სამუშაოს მანქანებით შესრულებას, ე. ი. ნიადაგის შემზადება, თესვა, მოსავლის აღება, ლეწვა და მარცვლის გაწმენდა; ამასთანავე, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანის ნაკლებობამ მიმდინარე წელს არაგითარ შემთხვევაში არ უნდა დააბრკოლოს სადგურებისა და კოლონების მუშაობის დაწყება.

III. რადგანაც ცოცხალ-საწევ-ძალიანი სადგურებისა და კოლონების მუშაობის სათანადო ორგანიზაციის ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის პირობა განსაზოგადოებული თავლებისა და ბოსლების აშენებაა, ამიტომ წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს — გადასინჯოს იმ გრძელვადიანი კრედიტების რაოდენობა, რაც დანიშნულია სასოფლო-სამეურნეო შენობებისათვის, და გამოსძებნოს წყაროები ამ კრედიტების გასაადიდებლად.

IV. წინადადება მიეცეს კოლექტიურ-სამეურნეო საბჭოს და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის საბჭოს — სამი კვირის ვადაზე:

ა) შეიმუშაონ ცოცხალ-საწევ-ძალიანი ან შერეული საწევ-ძალიანი სადგურებისა და კოლონების ორგანიზაციის კონკრეტული გეგმა, ისეთი ვარაუდით, რომ 1930 წელს მოწყობილ იქნეს: აზერბაიჯანის სსრ-ში არანაკლებ 120 კოლონისა და 6 სადგურისა, საქართველოს სსრ-ში — არანაკლებ 120 კოლონისა და 6 სადგურისა და სომხეთის სსრ-ში — არა ნაკლებ 60 კოლონისა და 2 სადგურისა;

ბ) შეადგინონ სადგურებისა და კოლონების შენობებით მოწყობისათვის საჭირო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა;

გ) დაიწესონ შენობათა ასაგებად საჭირო გრძელვადიანი კრედიტების რაოდენობა, იმ აუცილებლობით, რომ არა ნაკლებ ყველა ხარჯის ორმოცი პროცენტისა დაეკისროს მოსახლეობას.

V. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. მიანდონ რესპუბლიკანურ კოლექტიურ-სამეურნეო ცენტრებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური სისტემების კავშირებს:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიზნობრივი გადასახდელის შეკრეფას მოსახლეობის შორის ყველა იმ პუნქტში, სადაც უნდა მოიწყოს სადგურები და კოლონები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყონ კოლონები დიდროვან კოლექტიურ მეურნეობებში, საწარმოო სასოფლო ამხანაგობებში, ხოლო სადგურები—კოლექტიურ მეურნეობათა ჯგუფურ შენაერთებში; თანაც იქონიონ მხედველობაში, რომ კოლონები უნდა გადაიქცნენ ერთ-ერთ ელემენტად ამა თუ იმ შენაერთის განსაზოგადოებული მეურნეობისა;

გ) კოლონების მოწყობა პირველ რიგში დაუკავშირონ ისეთ რაიონებს, სადაც უფრო მეტად არის განხორციელებული კოლექტივიზაცია, და აგრეთვე ისეთ რაიონებს, სადაც აგრონომიული პუნქტია; ამასთანავე, აგრონომიულ პერსონალს უნდა დაეკისროს მუშაობის ტეხნიკური ხელმძღვანელობა და მუდმივი კონტროლი;

დ) ყველა იმ შენაერთისათვის, სადაც მოეწყობა სადგურები და კოლონები, შეადგინონ საწარმოო გეგმები და სადგურებისა და კოლონების მუშაობა მოაწყონ ამ გეგმების სრული და ზედმიწევნითი შესაბამისობით.

2. დაავალონ ყველა საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—გაშალოს ფართო სამომზადებლო მუშაობა და მოახდინოს მობილიზაცია მთლად სოფლის აქტივისა, რათა ხელი შეუწყოს კოლექტიურ-სამეურნეო და კოოპერატიულ სისტემებს კოლონებისა და სადგურების მოწყობის საქმეში.

3. დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) მიწათმოქმედების სამუშაოები აწარმოონ ისეთ შენაერთებში, სადაც მოეწყობა სადგურები და კოლონები, იმ მოსაზრებით, რომ ერთი ძირითადი პირობათაგანი სადგურებისა და კოლონების მუშაობის წარმატებით განვითარებისა არის იმ მიწების ერთ მთლიან მასსივად გადაქცევა, რომლებსაც ეს სადგურები და კოლონები მომსახურეობას უწევენ;

ბ) გააძლიერონ სავეტერინარო ზედამხედველობა ისეთ რაიონებში, სადაც შეიქმნება სადგურები და კოლონები, და დააკისრონ სავეტერინარო პირსონალს გაუწიოს მუდმივი მეთვალყურეობა კოლონებში და სადგურებში თავმოყრილ მუშა-საქონელს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. თებერვლის 11.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 39 №-ში 1930 წ. თებერვლის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 217 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**39.** **„კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების მე-5—8 მუხლებით გათვალისწინებული წესების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია „კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. 71 №-ი, მუხ. 673) მე-5—8 მუხლებით გათვალისწინებული წესების შეფარდების შესახებ“.

## ინსტრუქცია

**„კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების მე-5—8 მუხლებით გათვალისწინებული წესების შეფარდების შესახებ.**

1. კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათ სესხი მიეცემათ პირველ რიგში, შემდეგ შეღავთიან პირობებზე:

ა) გრძელვადიანი სესხი მიეცემათ გადასახადის ვადების გაგრძელებით ორი წლით საფანადო ღონისძიებათათვის დაწესებულ ნორმალურ ვადებთან შედარებით;

ბ) უკეთუ ამა თუ იმ კრედიტის გახსნა ითვალისწინებს საკუთარი სახსარის დაბანდებას, ამა მუხლში აღნიშნულ მეურნეობათ დაბანდებათა რაოდენობა შეუმცირდებათ ორმოცდაათი პროცენტით ნორმალურ დაბანდებასთან შედარებით.

2. კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ ამბოკარს (მოჯამაგირე) და ღარიბ გლეხებს, კოლექტიურ მეურნეობაში და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და სარეწაო კოოპერატივში შესელისას, ღარიბთა და ამბოკართა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდიდან მიეცემათ უპროცენტო სესხი ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა შესასვლელი და საპაიო გადასახადის შეტანისათვის. სესხი მიეცემათ ათი წლით. სესხის დაფარვა დაიწყება მეხუთე წლიდან შესვლის შემდეგ. სესხი გადახდილ იქნება თანაბარი ნაწილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უკეთუ ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლში აღნიშნული მეურნეობა გამოვიდა კოლექტიური მეურნეობიდან, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობიდან და სარეწაო კოოპერაციიდან, გაცემული სესხი გამომსვლელს ხელთ არ მიეცემა, არამედ ეს სესხი დაებრუნება ფონდს.

4. კოლექტიურ მეურნეობას და ინდივიდუალურ ღარიბ და საამბოკარო მეურნეობას ამა ინსტრუქციის 1-ლ და მე-2 მუხლებში გათვალისწინებული კრედიტი მიეცემა და საწარმოო დახმარება გაეწევა მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს დადგენილებით დამტკიცებული იქნება ძალადობის ფაქტი.

5. რესპუბლიკანურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა დაამყარონ მტკიცე კონტროლი ამა ინსტრუქციის ადგილებზე შესრულებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. თებერვლის 16.
ტფილისი — სასახლე.

---

## დადგენილება № 218 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 40. საშენი მასალის წარმოებაში კოოპერაციის მონაწილეობის გაძლიერების შესახებ.

რათა საშინამრეწველო-სარეწაო, საბინაო და სასოფლო-სამეურნეო (კოლ-მეურნეობის) კოოპერაციის სისტემებმა გააძლიერონ საშენი მასალის წარმოება, თანაც—რათა ამ სისტემათა მუშაობაში თავიდან აცილებულ იქნეს პარალელიზმი და დამყარდეს სათანადო კოორდინაცია, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაცია მუშაობას ეწევა პირველ რიგში ორგანიზებული დამკვეთისათვის (მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა, სატრანსპორტო ორგანიზაცია, კოოპერატიული ორგანო და სხვ.) მომსახურეობის გასაწევად, აგრეთვე საკუთარი მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის საჭიროებათა დაკმაყოფილების ხაზით.

2. საბინაო კოოპერაცია საშენი მასალის წარმოების სფეროში ანვითარებს მუშაობას ისეთ ფორგლებში, რომ შეიტანოს თავის საკუთარ სამშენებლო სამუშაოთა გეგმებით ნაციონალურ საჭირო მასალის დანაკლისი, რასაც ვერ დაჰფარავს საშენი მასალის ძირითად მწარმოებელთაგან (სახელმწიფო მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია) მიწოდებული საშენი მასალით.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია (კოლმეურნეობანი) ანვითარებს თავის მუშაობას საშენი მასალის წარმოების სფეროში იმ მიზნით, რათა დააკმაყოფილოს თვით სასოფლო-სამეურნეო და კოლექტიურ მეურნეობათა სისტემების კაპიტალური და საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებანი.

4. გავრცელებულ იქნეს საშენი მასალის მწარმოებელ კოოპერაციაზე ის საგადასახადო შეღავათები, რაც მინიჭებული აქვს საბინაო კოოპერაციას, სახელდობრ:

ა) განთავისუფლებულ იქნეს საშემოსავლო გადასახადისაგან;

ბ) განთავისუფლებულ იქნეს სარეწაო გადასახადისაგან;

გ) განთავისუფლებულ იქნეს, საღერბო გამოსაღების გარდა, აგრეთვე საონტარო და დოკუმენტების სხვა გამოსაღებისაგან იმ გარიგებისათვის, რასაც დასდებს საშენი მასალის ყიდვა-მიწოდებისა, ნედლეულობისა, სათბობი მასალისა და სხვ. შეძენის თაობაზე.

**შენიშვნა.** ეს შეღავათები ვრცელდება პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი შენაერთების საწარმოთა მიერ მხოლოდ იმ დასამუშავებელი საშენი მასალის წარმოებასა და რეალიზაციაზე, რომელიც უნდა მიეწოდოს სამშენებლო და მშენებელ ორგანიზაციებს ა/კსფსრ მომწესრიგებელი ორგანოების განრიგების მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რგინის გზების გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირს შეიმუშაოს შესაძლებელი სატარიფო შეღავათები კოოპერაციის მიერ სხვადასხვა საშენი მასალის გადაზიდვისათვის, რისთვისაც გაითვალისწინოს შესაძლებლობა ტარიფების დაკლებისა ოცდახუთი პროცენტის რაოდენობით.

6. კარიერებისა და საყოველთაოდ გავრცელებული არასამდნო წიაღისეულის საბადო ადგილების მიჩენისა და ექსპლოატაციის გასაადვილებლად:

ა) უფლება მიეცეს კოოპერაციას მიიღოს ხოლმე უფასოდ საექსპლოატაციოდ არასამდნო წიაღისეულისა და კარიერების ნაკვეთები.

**შენიშვნა.** ეს წესი ვრცელდება აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ უკვე დადებულ ხელშეკრულებებზე კარიერებისა და საბადო ადგილების იჯარით აღების შესახებ.

ბ) კარიერებისა და საყოველთაოდ გავრცელებული არასამდნო წიაღისეულის საბადო ადგილების მიჩენის შესახებ კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ შეტანილი განცხადების განხილვისათვის დაწესებულ იქნეს ორი კვირის ვადა ღღიდან განცხადების შესვლისა;

გ) მიეცდოს ამიერკავკასიის წარმომადგენლობას სთხოვოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს—წინადადება მისცეს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა მან, თავისი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების მეშვეობით, საჭირო ტეხნიკური დახმარება გაუწიოს საშენი მასალის მწარმოებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებს იმის გამოკვლევის საქმეში, თუ რა სიღრმეზე სძევს ესა თუ ის არასამდნო წიაღისეული, როგორია მისი შედგენილობა და რამდენად ივარგებს იგი საშენი მასალის საწარმრებლად; აგრეთვე დაეკალოს ამიერკავკა-

სიის სამეცნიერო-საკელევო დაწესებულებათა გაუწიონ აღნიშნულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ასეთივე დახმარება.

7. საწარმოთა გადაცემისა და საიჯარო ვადების გაგრძელების სფეროში წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) გააძლიერონ უმოქმედო საწარმოთა გადაცემა კოოპერაციისათვის, აგრეთვე ადგილობრივი და რესპუბლიკანური მრეწველობის იმ საწარმოთა და გაწყობილობათა გადაცემა, რომლებიც, განხორციელებული რაციონალიზაციის მიხედვით, უნდა გამოვიდნენ ამ მრეწველობის საწარმოო წყობილებიდან; ეს გადაცემა უნდა სწარმოებდეს როგორც უსასყიდლოდ ისე შეღავათიანი პირობების დადებით აღნიშნულ საწარმოთა ღირებულების დასაფარავად; ამ უკანასკნელ შემთხვევაში გადაცემა შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან;

ბ) შეუდგენენ კოოპერატიულ საკუთრებად საშენი მასალის მწარმოებელ ისეთ საწარმოთა გადაცემას, რომლებიც კოოპერაციას იჯარით აქვს აღებული და მის ფაქტიურ ექსპლოატაციაშია (სასოფლო საბჭოების კუთვნილ საწარმოთა გამოკლებით), და რომლებშიც იჯარით აღების მომენტიდან დაბანდებულია არა ნაკლებ მათი ძირითადი ღირებულების ათი პროცენტისა;

გ) კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ იჯარით აღებულ დანარჩენ საწარმოთა მიმართ, რომლებზედაც ამა მუხლის „ბ“ პუნ. მოქმედება არა ვრცელდება, გაფართოებულ იქნეს პრაქტიკა ამ საწარმოთა კოოპერატიულ საკუთრებაო გადაცემისა ადგილობრივი ორგანოების სპეციალური დადგენილებებით; ხოლო, უკეთუ ასეთი გადაცემა შეუძლებელია, დაუდვან კოოპერატიულ ორგანიზაციებს მაქსიმალურად ხელსაყრელი საიჯარო პირობები და პირველ რიგში გაუგრძელონ მათ იჯარის ვადა.

8. გაწყობილობით და სურსათით მომარაგების სფეროში წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრიატს უზრუნველჰყონ კოოპერატიული ორგანიზაციების მომარაგება საშენი მასალის წარმოების პროგრამის შესრულებისათვის საჭირო გაწყობილობით, ინსტრუმენტებით და მასალით აუცილებელი რაოდენობის ფარგლებში და სახელმწიფო მრეწველობისათვის არსებულ თანაბარ პირობებში (ფასისა, ანგარიშგასწორებისა და რიგობის მხრით); აგრეთვე უზრუნველჰყონ აღნიშნულ საწარმოთა მომარაგება ჰურით და ფურაჟით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მიიღონ ღონისძიება, რათა მოწესრიგებულ იქნეს საკითხი კოოპერაციისათვის ტყის საკაფების მიჩენის თაობაზე მათთვის საშენი მასალის საწარმოებლად საჭირო რაოდენობით.

10. დაფინანსების სფეროში:

ა) მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს, საშენი მასალის წარმოების დამტკიცებული გეგმის ფარგლებში, ამ წარმოების გაფართოების საქმის მიზნობრივი დაფინანსება; ამასთანავე, მიზნობრივი დაკრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიტების ვადა სავსებით უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო პროცესის ციკლს (დამზადება, წარმოება, გასაღება);

ბ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მიიღონ ღონისძიება ადგილობრივი კომუნალური და საქალაქო ბანკების მიერ საშენი მასალის მწარმოებელი კოოპერატიული ორგანიზაციების მოკლევადიანი დაკრედიტების გაფართოებისათვის სათბობი მასალისა და ნედლეულის დასამზადებლად—დამზადებული პროდუქციის გირავნობით; ეს დაკრედიტება უნდა მოხდეს იმავე პირობებზე, როგორც საშენი მასალის მწარმოებელ ადგილობრივ და სახელმწიფო საწარმოთა დაკრედიტება;

გ) დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო სახსარის გამოყოფა კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად საშენი მასალის წარმოების გასაფართოებლად, იმ პირობით, რომ ჯერ ერთი—გადასახდევინებელი პროცენტის მხრით აღნიშნული კოოპერატიული ორგანიზაციები გათანაბრებულ იქნენ საშენი მასალის მწარმობელ ადგილობრივ სახელმწიფო საწარმოსთან და მეორე, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მიცემული სახსარი დაფარულ იქნეს ვადაზე ხუთიდან ათ წლამდე, საწარმოთა ამორტიზაციის ვადების მიხედვით;

დ) წინადადება მიეცეს კოოპერაციის ამირკავკასიის ცენტრებს გამოჰყონ თავიანთი კაპიტალებიდან და მოგებიდან საშენი მასალის წარმოების განზრახული გაფართოებისათვის საჭირო სახსარი;

ე) მიენდოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს (შინამრეწველობის კომიტეტის ხაზით) გაურიგდეს სახელმწიფო ბანკის ამირკავკასიის სამხარეო კონტორას, რათა სარეწაო კოოპერაციის მიზნობრივი დაკრედიტების საქმე თავმოყრილ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ბანკის სისტემაში;

ვ) მიენდოს ამირკავკასიის წარმომადგენლობას მიღოს ღონისძიება, რათა საშენი მასალის წარმოების დაკრედიტების სპეციალური ფონდის შექმნის საკითხი საჩქაროდ იქნეს გატარებული სსრკ-ის მთავრობაში.

**შენიშვნა.** დაფინანსების ყველა შეღავათი და უპირატესობა პირველ რიგში მიენიჭებათ იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც სასტანდარტო პროდუქციას უშვებენ.

11. უნდა აღინიშნოს, რომ საშენი მასალის წარმოების აღნუსხვის საქმე სუსტად არის დაყენებული სარეწაო და საბინაო კოოპერაციაში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში იგი სრულიად არ არსებობს. ამის გამო წინადადება მიეცეს კოოპერაციის ამირკავკასიისა და რესპუბლიკანურ ცენტრებს მოაწყონ სასწრაფო წესით საშენი მასალის წარმოების სისტემატიური აღნუსხვა და მისი განვითარების გეგმების შედგენა.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს:

ა) მიიღონ ღონისძიება შრომის სამშენებლო სარეწაოების აღნუსხვისა და კოოპერირებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ღონისძიება საშენი მასალის ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რაც დამტკიცებულ საერთო-საკავშირო სტანდარტებს შეესაბამება;

გ) მისცენ თავიანთ ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს დირექტივი შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლის შესახებ;

დ) მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიება კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დამუშავებული საშენი მასალის ფასების მაქსიმალური შემცირებისათვის;

ე) გაალიერონ კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ტეხნიკური ხელშეწყობა და ტეხნიკური დახმარების გაწევა—ცენტრალურ ორგანოებსა და კავშირებში სამშენებლო განყოფილებების მოწყობით, საქმეში სპეციალისტ-ინჟენერებისა და ტეხნიკოსების ჩაბმით, აგრეთვე ტეხნიკური ზედამხედველობის გაძლიერებით და კავშირების მიერ პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ინსტრუქტორების გაწევით.

13. მე-12 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე ფასების შემცირების შესაძლებლობის საკითხი და მისცენ რესპუბლიკებს სათანადო დირექტივები.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—შეიმუშაოს, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთა ტიპობრივი პროექტები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. თებერვლის 16.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

### 41. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ვადამდე არჩევის შესახებ.

„სოფლის ფართო კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. იანვრის 25-ის დადგენილების განსავითარებლად და რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა, საოლქო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების საამიერკავკასიო თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის აღნიშნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და აგრეთვე საოლქო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საყურადღებოდ შემდეგი:

1. მას შემდეგ, რაც საბჭოთა უკანასკნელი არჩევნები სწარმოებდა, ამიერკავკასიის სოფლის პოლიტიკურ და სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა უდიდესი ძვრა: ის მისწრაფება კოლექტივიზაციისადმი, რაც წინად ღარიბ და საშუალო გლეხთა ცალკეულ ჯგუფებს ემჩნეოდათ, ახლა ამბოკართა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართოდ გაშლილ მასსიურ მოძრაობად გადაიქცა.

წვრილ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნა, კულაკების წინააღმდეგ მიმართული შეტევის პოლიტიკა, მათი—როგორც კლასის—ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში იწვევს კულაკური ელემენტების გაცოფებულ წინააღმდეგობას. ყოველივე ეს სულ ახალი სახით აყენებს საბჭოთა ქვედა ქსელის მუშაობის საკითხს და მოითხოვს, რომ ეს მუშაობა დაყენებულ იქნეს უმაღლეს საფეხურზე.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში პროლეტარული დიქტატურის ორგანოები—საბჭოები—ამიერკავკასიის მრავალეროვნებიან სოფელში, რომელსაც საკუთარი სპეციური თავისებურობა ეტყობა, განსაკუთრებით უნდა იქნენ გაძლიერებულნი და განმტკიცებულნი. საბჭოები ის ორგანოებია, რომელნიც აწარმოებენ ამბოკართა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მასსების აქტივობის მობილიზაციას მთლად სოფლის ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად და რომელნიც უწევენ უშუალო ხელმძღვანელობას კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას.

ყველა ის აშკარა თუ ფარული ცდა, რომ მოხდეს სასოფლო საბჭოების ლიკვიდაცია, შესუსტდეს ან დამცირებულ იქნეს მათი როლი მასსიური კოლექტივიზაციის საქმეში, რომ საბჭოების უფლებები გადაეცეს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს,—ყველა ეს ცდა—თავისი შინაარსით გამოხატავს პროლეტარული დიქტატურის მტერთა გულისთქმას, რაც მიმართულია პროლეტარული დიქტატურისათვის ძირის გამოსათხრელად და მისი ორგანოების ძალის შესასუსტებლად. ასეთი ცდები უკუდგებულ უნდა იქნეს ულმობელად.

2. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მთელ რიგ ადგილებში სასოფლო საბჭოები ან ვერ უძღვებიან ახალ ამოცანებს, ან თუ უძღვებიან,—ძალიან სუსტად. იმის ნაცვლად, რომ სასოფლო საბჭოები საკოლექტივიზაციო მოძრაობის სათავეში იდგნენ, ისინი ხშირად კუდში მისდევენ ამ მოძრაობას და არამც თუ ვერ დაეუფლნენ ამ მოძრაობას, არამედ ხშირად კიდეც აბრკოლებენ მას.

ამასთან ერთად იმავე გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ცოტა არ არის რიცხვი იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, რომელთაც ვერ მოახერხეს საკმარისად გაეშალათ თავიანთი მუშაობა სოფლის მეურნეობის საკოლექტივიზაციოდ და სასოფლო საბჭოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

სასოფლო საბჭოების მოქმედების პირობების შეცვლა აუცილებლად მოითხოვს, რათა სასოფლო საბჭოების შედგენილობა ძირითადად იქნეს განახლებული და უზრუნველყოფილ იქნეს ნამდვილი პროლეტარული ხელმძღვანელობა ყვე-

ლა იმ რაიონში, სადაც ძველი შედგენილობის უუნარობა აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის სფეროში დადასტურებულია. ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სასოფლო საბჭოების განახლება განსაკუთრებით საჭიროა.

ზემოაღნიშნულის თანმხმად და „სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. იანვრის 31-ის დადგენილების შესასრულებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მოახდინონ ხელახალი არჩევნები როგორც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, ისე ამ რაიონების გარეშე, იმ სასოფლო საბჭოებისა, რომელთაც, იმის გამო, რომ მათ შედგენილობაში უცხო ელემენტები ერიენენ, ვერ მოახერხეს ამბოკართა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასსების შემოკრება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკურ ელემენტებთან ბრძოლის საკითხების გარშემო;

ბ) სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩაატარონ იმ მიმართულებით, რომ გაძლიერდეს მათი ხელმძღვანელობის გავლენა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში და რომ სასოფლო საბჭოებში ჩაბმულ იქნენ რაც შეიძლება მეტი აზბოკარები და ღარიბი გლეხები, აგრეთვე კოლექტიურ მეურნეთა და კოლექტიურ მეურნე-ქალთა აქტივი; არჩევნების ამოცანათა შორის აგრეთვე შეტანილ უნდა იქნეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის საკითხი; ამ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანათა გარშემო არჩევნების პროცესში მობილიზებულ უნდა იქნენ ამბოკართა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მასსები.

მიიღონ ღონისძიება, რათა სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების გეგმები, სასოფლო საბჭოებისა და ცალკეული წევრების ანგარიშები წინასწარ განხილულ იქნეს სასოფლო საბჭოების ამბოკართა და ღარიბთა ჯგუფებში, ამბოკართა და ღარიბთა საერთო კრებებზე და კოლექტიურ მეურნეთა კრებებზე;

გ) მოახდინონ ხელახალი არჩევანი იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, რომელთაც ფართოდ ვერ გაშალეს მუშაობა სოფლის მეურნეობის საკოლექტივიზაციოდ და საკოლექტივიზაციო მოსახლეობისათვის მომსახურეობის გასაწევად და რომელთაც ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს სასოფლო საბჭოების მუშაობას მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში და სოფლის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა სფეროში;

დ) ჩაატარონ აღნიშნული არჩევნები სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რასპუბლიკების საარჩევნო კანონების შესაბამისად;

ე) საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ რეგულიარულად აცნობონ ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 45 №-ში 1930 წ. თებერვლის 20-ს.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 42. საიალაღო კომიტეტების მოწყობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც დაკავშირებულია სამთამბარო და ნახევრად სამთამბარო მესაქონლეობის მწარმოებელი მოსახლეობის მიერ საზაფხულო საძოვრების სარგებლობასთან, აგრეთვე საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის დროს ამ მოსახლეობისათვის მომსახურეობის გასაწევად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყოს საიალაღო კომიტეტები.

2. საიალაღო კომიტეტი მოეწყობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ისეთ რაიონებში, სადაც საძოვრებზე რეგულიარულად მიდის სხვა ოლქებიდან (მაზრებიდან) ან რესპუბლიკებიდან მრავალი სამესაქონლეო მეურნეობა.

3. საიალაღო კომიტეტის შედგენილობაში შედიან:

ა) თავმჯდომარედ—საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, საძოვრების ადგილმდებარეობის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო საადგილმამულო ქონებათა საოლქო (სამაზრო) ინსპექტორი—იმავე ნიშნის მიხედვით;

გ) საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიის წარმომადგენელი;

დ) იმ ოლქის (მაზრის) აღმასრულებელი კომიტეტის ორი წარმომადგენელი, საიდანაც მოდიან მესაქონლეები; ამასთანავე, ერთი ამ წარმომადგენელთაგანი იქნება კომიტეტის მდივნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** უკეთუ მომთაბარეობა სწარმოებს ერთდაიმავე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საიალაღო კომიტეტის თავმჯდომარედ შეიძლება იყოს ამ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

4. საიალაღო კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მოაწესრიგოს საქონლის საძოვრებიდან ზამთრის საზაფხულო საძოვრებზე და წინაუკმოდ გარეკვის საქმე;

ბ) მოაწყოს მომთაბარენი მათთვის მიჩენილ სასაძოვრო ნაკვეთებზე ისეთი წესით, რომ პირველ რიგში საუკეთესო და სარგებლობისათვის უფრო მოხერხებული საძოვრები მიეცეს მესაქონლეებს ღარიბ და საშუალო გლეხთაგან;

გ) მეთვალყურეობა გაუწიოს საძოვრების სათანადოდ (რაციონალურად) გამოყენებას, თანაც ისე, რომ საძოვრები მეტის-მეტად გავსებული არ იყოს საქონლით და არ ფუჭდებოდეს; აგრეთვე მიიღოს კანონიერი ღონისძიება, მომქმედ კანონთა თანახმად, ქვე-მოიჯარეთა წინააღმდეგ;

დ) თვალყური ადევნოს საიჯარო ქირის სასაძოვრო ნაკვეთში მონაწილეთა შორის განაწილებას ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად; თანაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საიჯარო ქირის კლასობრივი ზედნართის თავისდროზე და სისწორით შეფარდებას;

ე) წინასწარ თავიდან აიცილოს და გადასწყვეტოს ცალკეული სასაძოვრო ნაკვეთების მოიჯარეთა შორის აღძრული უთანხმოებანი; აგრეთვე მიიღოს ღონისძიებანი, რათა ეს ნაკვეთები ხელში არ ჩაიგდონ როგორც მოიჯარეებმა, ისე უცხო პირებმა;

ვ) დახმარება გაუწიოს საძოვრების ზედამხედველთ მესაქონლეებისათვის საძოვართა საიჯარო ქირის გადახდევინების საქმეში;

ზ) უკეთუ დაწესებული საიჯარო ქირა არ შეესაბამება სასაძოვრო ნაკვეთის სიფრცესა და ხასიათს, გამოიკვლიოს ეს გარემოება, საჭირო შემთხვევაში მიწისმზომელის მონაწილეობით, და შეკრეფილი მასალა, თავისი დასკვნითურთ, წარმართოს სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში განკარგულებისათვის, ხოლო ისე-კი, რომ საიჯარო ქირის გადახდევინება არ შეაჩეროს;

თ) აღძრას თავის დროზე ხელისუფლების სათანადო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხები, რაც დაკავშირებულია მომთაბარეთათვის კულტურულ-განმანათლებელი, სამეურნეო, საგზაო-სასაძოვრო, სავეტერინარო-სამედიცინო, იურიდიული და სხვაგვარი მომსახურეობის გაწევასთან; აგრეთვე გაუწიოს ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახმარება აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ამის გარდა, საიალაღო კომიტეტს დაეკისრება ფუნქციები კოოპერატივის მიერ მომთაბარეთა მომარაგების საქმის მოწყობისა და ხელმძღვანელობის გაწევის სფეროში;

5. უკეთუ საიალაღო კომიტეტის წევრთა შორის აღიძრა რაიმე შეუთანხმებლობა, სადავო საკითხი გადასაწყვეტად გადაიტანება იმ საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს საძოვარი; ამასთანავე უკეთუ ეს შეუთანხმებლობა წარმოიშვა ისეთი საკითხის გამო, რომლის გადაწყვეტაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება გადაიდოს (მაგალითად—საქონლის ძოვებით საძოვრის წახდენა, ეპიდემიის გაჩენა და სხვ.), ამგვარი შეუთანხმებლობის გამო, დროებით, ვიდრე მას საბოლოოდ სათანადო საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი გადასწყვეტდეს, მიიღება ის გადაწყვეტილება, რომელსაც ხმა მისცა საიალაღო კომიტეტის თავმჯდომარემ.

6. ორი თვით ადრე მომთაბარეობის დაწყებამდე, იმ ადგილის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც მდებარეობს საძოვარი, მოიწვევს თათბირს იმ ოლქების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთაგან, საიდანაც მომთაბარენი უნდა მივიდნენ, აგრეთვე მესაქონლეთა ორგანიზაციებისა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთაგან; ამ თათბირზე განისაზღვრება: საქონლის სავლელი გზები, საქონლის შეჩერების ადგილები, საველტერინარო პუნქტები და საქონლის დათვალიერების წესი, მომთაბარეობის დაწყების დრო, საიალაღო კომიტეტების მოქმედების დაწყების დრო, საიალაღო კომიტეტების მიერ ხელისუფლების სათანადო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე ამა დადგენილების მე-4 მუხლის „თ“ პუნქტში ჩამოთვლილი საკითხების აღძვრის წესი და ვადები და, ბოლოს, სხვა საკითხები, რაც მომთაბარეობის მოწყობას და მომთაბარეთათვის იალაღებზე მომსახურეობის გაწევას ეხება.

7. საიალაღო კომიტეტი თავისი მუშაობის პროცესში ექვემდებარება იმ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზედაც საძოვრებია, და სახელმძღვანელოდ იღებს ამ კომიტეტის დირექტივებსა და განკარგულებებს.

8. მომთაბარეთათვის გასაყოლად და მათ დასაცავად, აგრეთვე საიალაღო კომიტეტისათვის დახმარების გასაწევად მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში—საიალაღო კომიტეტის განკარგულებაში, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები, ერთმანეთთან შეთანხმებით, დანიშნავენ მილიციონერთა კომანდას შედგენილობით ათ კაცამდე თვითეულ კომიტეტზე.

9. წინა მუხლში აღნიშნული სამილიციო რაზმი ექვემდებარება იმ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზედაც საძოვრებია, და დისციპლინარულადაც ამ კომიტეტის გამგებლობასა და ზედამხედველობაშია.

10. საიალაღო კომიტეტის წევრებისა და მასთან მივლინებულ მილიციონერთა შენახვისა, საწარვილინებო და სხვა ხარჯები მიეკუთვნება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები დაიფარება იმ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის სახსარით, რომლის ტერიტორიაზედაც საძოვრებია.

ამა მუხლში აღნიშნულ ხარჯებს სათანადო საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი შეიტანს თავისი ხარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვაში და გაიღებს სახარჯთაღრიცხვო წესით.

11. საიალაღო კომიტეტი, არა უგვიანეს თვითეული თვის მე-5 რიცხვისა, თავისი მოქმედების დაწვრილებით ანგარიშს გასული თვისას წარუდგენს იმ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზედაც საძოვრებია.

ხოლო სეზონის გასვლისას მთელი საქმისწარმოება და შესრულებული სამუშაოს მასალები, საერთო ანგარიშგებითურთ, გადაეცემა ზემოაღნიშნულ აღმასრულებელ კომიტეტს.

ეს კომიტეტი გასული სეზონის ჯუმლოობითის ანგარიშგებას, სათანადოჟრესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

12. როდესაც ერთი რესპუბლიკის მესაქონლეები სარგებლობენ მეორე რესპუბლიკის ზამთრის საძოვრებს ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე, სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმებით, შეიძლება მოწყობილ იქნეს საკიშლაყო კომიტეტები.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი მომთაბარე მოსახლეობის ქალთა ნაწილისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად, უპირატესად ამმოკარ-ქალთა და ღარიბ-ქალთა შორის, რისთვისაც ამ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩაბაბნ როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან და აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტები, ისე საბჭოების კულტურულ-საყოფაცხოვრებო სექციები.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას და აგრეთვე ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ დადგენილებანი, რომლებშიაც, კერძოდ, გაითვალისწინონ გამარტივებული წესი წანახედების გამო აღძრულ დავათა გადაწყვეტისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

1930 წ. თებერვლის 18
ტფილისი-სასახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 43. საგლეხო მეურნეობებში აღძრულ შრომის კონფლიქტების მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის შესახებ.

„საგლეხო მეურნეობებში აღძრულ შრომის დავათა (კონფლიქტების) განხილვის წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 57 №-ი, მუხ. 533) განსავითარებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. 1. საგლეხო მეურნეობაში,—გარდა სამეწარმეო მეურნეობისა,—დამქირავებელსა და მუშებს შორის აღძრული შრომის დავა, აგრეთვე საზოგადო მწყემსებსა და დამქირავებელს შორის აღძრული დავა შეიძლება განხილულ იქნეს სასოფლო საბჭოსთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან მოწყობილ საკონფლიქტო კომისიაში მხოლოდ დამქირავებლის თანხმობით—ერთის მხრით, და მომუშავის ან პროფესიონალური კავშირის თანხმობით—მეორეს მხრით. საკონფლიქტო კომისიას, აღნიშნული ორივე მხარის თანხმობით, შეუძლიან განიხილოს კონფლიქტი იმისდამიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა იგი, უკეთუ ეს კონფლიქტი უკვე განხილული არა ყოფილა სახალხო სასამართლოში.

ხოლო უკეთუ ერთ-ერთი მხარე თანახმა არ არის, რომ საქმე საკონფლიქტო კომისიაში გაირჩეს, დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან საქმე განსახილველად სასამართლოს გადასცეს. ასეთ შემთხვევაში სარჩელი სასამართლოში შეიტანება არა უგვიანეს სამი თვისა მუშისა თუ მუშა-ქალის დათხოვნის დღიდან.

2. საკონფლიქტო კომისია მოეწყობა შრომის ცალკეული დავის განსახილველად სასოფლო საბჭოსთან, უკეთუ ამ სოფელში არსებობს მიწა-ტყის მომუშავეთა კავშირის მუშათა სასოფლო კომიტეტი. ხოლო, უკეთუ ამ სოფელში მუშათა სასოფლო კომიტეტი არ არსებობს, საკონფლიქტო კომისია მოეწყობა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან.

3. საკონფლიქტო კომისიაში შევლენ: სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშათა კავშირის მუშათა სასოფლო კომიტეტის ან სარაიონო კომიტეტის წარმომადგენელი—ერთის მხრით და დამქირავებელი ან მისი წარმომადგენელი—მეორეს მხრით. საკონფლიქტო კომისიაში თავმჯდომარეობს სასოფლო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი.

4. საკონფლიქტო კომისია განიხილავს საქმეს ისე, რომ აუცილებლად დაიბარებს დაინტერესებულ მუშას (მუშა-ქალს).

5. განცხადება საქმის განხილვის თაობაზე მომუშავეს შეუძლიან წარუდგინოს საკონფლიქტო კომისიას როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადებას ჩასწერს სასოფლო საბჭოს მდივანი ან სხვა მომუშავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საკონფლიქტო კომისიაში განხილული ყველა საკითხი (როგორც გადაწყვეტილი, ისე გადაუწყვეტავი) დაუყოვნებლივ უნდა ჩაიწეროს ოქმში. თვითეულ საკითხზე ზედმიწევნით და ნათლად ჩაწერილი უნდა იყოს მხარეთა წინადადებანი და გადაწყვეტილება. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, აღინიშნება მხარეთა უკანასკნელი წინადადებანი. ოქმს ხელს მოაწერენ მხარენი და თავმჯდომარე დაუყოვნებლივ, სხდომის დამთავრებისთანავე. საკონფლიქტო კომისიის ოქმის ფორმა აქვეა დართული (იხ. 115 გვ.).

7. საკონფლიქტო კომისიის დადგენილება სავალდებულო ძალას იღებს მხარეთა წარმომადგენლებისა და საკონფლიქტო კომისიის თავმჯდომარის მიერ ოქმზე ხელის მოწერისთანავე. ყველა იმ გადაწყვეტილებაში, რაც ფულად მოთხოვნას ეხება, ზედმიწევნით აღნიშნული უნდა იყოს თვითეული დაინტერესებული მუშისათვის (მუშა-ქალის) ან პროფესიონალური კავშირისათვის გადასახდელი თანხა.

8. უკეთუ საკონფლიქტო კომისიაში საქმის გარჩევის დროს გამოაშკარავდება დამქირავებლის არაკანონიერი მოქმედება, რასაც სისხლის სამართლის ქმედობის ნიშნები ექნება, აგრეთვე გამოაშკარავდება, რომ დამქირავებელი სისტემატიურად არღვევდა შრომის კანონმდებლობას, სასოფლო მუშათა კომიტეტის წარმომადგენელი და კომისიის თავმჯდომარე (სასოფლო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი) მოვალენი არიან აცნობონ ეს პროკურატურას.

9. საკონფლიქტო კომისიაში გასარჩევ კონფლიქტთა მთელ საქმისწარმოებას (ოქმი, დოკუმენტები, მიწერ-მოწერა და სხვ.) უძღვება სასოფლო საბჭოში ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ერთი პირი, რომელიც პასუხისმგებელია საკონფლიქტო კომისიებისათვის დადგენილი ყველა წესების შესრულებისათვის. ოქმების დედნები ინახება სასოფლო საბჭოში ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში; დაინტერესებულ პირთ, მათი თხოვნით, მიეცემა შემოწმებული ასლები.

10. სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორს უფლება აქვს, დაინტერესებული მხარის საჩივრის გამო, აგრეთვე თავისი ინიციატივით, გააუქმოს საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება, უკეთუ:

ა) გაუარესებულია შრომის პირობები კანონთან, კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულობასთან შედარებით;

ბ) დარღვეულია მომუშავის (მომუშავე-ქალის) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი;

გ) დარღვეულია საკონფლიქტო კომისიის მოწყობის წესები და ამ დარღვევამ გავლენა იქონია გადაწყვეტილების სისწორეზე;

დ) გამოაშკარავდა ისეთი გარემოება, რაც საკონფლიქტო კომისიამ არ იცოდა, და რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სისწორით გადაწყვეტისათვის;

ე) გადაწყვეტილია ისეთი საქმე, რაც საკონფლიქტო კომისიის გამგებლობის საგანს არ შეადგენს, ან რაც უკვე გადაწყვეტილია სასამართლო ორგანოს მიერ ან და მას გადასაწყვეტად აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულ მუშას (მუშა-ქალს) შეუძლიან პრაქტიკულად გამოიყენოს ამ გაუქმების შედეგი (როდესაც იგი ამ რაიონშივეა და სხვ.).

11. საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისი გამოტანის დღიდან გაიარა არა უმეტეს, ვიდრე ერთმა წელმა.

12. სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორის დადგენილება საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

13. სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი მოვალეა განიხილოს განცხადება საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არა უგვიანეს შვიდი დღისა მიღების დღიდან.

14. სიკონფლიქტო კომისიის ის გადაწყვეტილება, რომელსაც დამჭირავებელი ნებაყოფლობით არ შეასრულებს, აღსრულებულ უნდა იქნეს შრომის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების თანაბრად სასოფლო საბჭოს მიერ, რომელსაც ასეთ შემთხვევაში აქვს სასამართლოს აღმასრულებელის ყველა უფლება. საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების განსაჩივრება ზედამხედველობის წესით ვერ შეაჩერებს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

15. უკეთუ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა ზედამხედველობის წესით, აგრეთვე უკეთუ საკონფლიქტო კომისიაში შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან მიმართოს სახალხო სასამართლოს არა უგვიანეს სამი თვისა საკონფლიქტო კომისიის სხდომის შემდეგ ან მისი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ. სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორს, რომელმაც გადაწყვეტილება გააუქმა, აგრეთვე იმ სასოფლო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელთანაც შესდგა საკონფლიქტო კომისიის სხდომა, შეუძლიან წარმართოს საქმე სახალხო სასამართლოში იმავე ვადების დაცვით.

16. სახალხო სასამართლოს შეუძლიან გაარჩიოს საქმე ისეთი განცხადების მიხედვითაც, რომელიც შეტანილია სამი თვის ვადის გადაცილებით (ამა დადგენილების 1 და 15 მუხ.), უკეთუ იგი სცნოს, რომ ვადის გადაცილების მიზეზი პატივსაცემია (ავადმყოფობა, ჯარში წასვლა, სტიქიური უბედურება და სხვ.).

17. სახალხო სასამართლო მოვალეა მიიღოს არა მარტო წერილობითი, არამედ აგრეთვე სიტყვიერი განცხადება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიტყვიერი განცხადება ჩაიწერება სასამართლოშივე მოსარჩელის ნათქვამის მიხედვით.

სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება გამოცხადებულ უნდა იქნეს სასამართლოში საქმის განხილვის დღესვე.

18. უკეთუ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გამოაშკარავდება, რომ დამჭირავებელი ბოროტი განზრახვით აბრკოლებდა მომუშავისათვის (მომუშავე-ქალისათვის) ხვედრი თანხის მიცემას ან აჭიანურებდა კონფლიქტის გადაწყვეტას, სასამართლოს შეუძლიან, სასარჩელო თანხის გარდა, გადასწყვიტოს კომპენსაცია დაკარგული დროისათვის ისეთი თანხის რაოდენობით, რაც არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღემატებოდეს მომუშავის თუ მომუშავე-ქალის სამუშაო ხელფასის თანხას სათანადო ვადისათვის.

19. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მომუშავის ისეთი სარჩელის გამო, რის თანხაც ოც მანეთს არ აღემატება, საბოლოოა და მხარეთა მიერ არ განისაჩივრება. სახალხო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილება დათხოვნის შესახებაც, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საერთო წესისამებრ ზემდგომ სასამართლოში (უზენაეს ან მის შესაბამის სასამართლოში) თოთხმეტი დღის ვადაზე.

20. უზენაეს სასამართლოს ან მის შესაბამისს სასამართლოს, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვისას შეუძლიან:

ა) დასტოოს საჩივარი უშედეგოდ;

ბ) გააუქმოს გადაწყვეტილება და მოსპოს საქმე;

გ) გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცეს სხვა უბნის სახალხო სასამართლოს ან იმავე სახალხო სასამართლოს სხვა შედგენილობას;

დ) გააუქმოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს საქმეზე თავისი არსებითი გადაწყვეტილება.

21. ყველა სასამართლო ორგანო მოვალეა განიხილოს შრომის საქმე არა უგვიანეს შვიდი დღისა საქმის მიღების დღიდან.

22. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს შეუძლიან განაპროტესტოს არა უგვიანეს ექვსი თვისა გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქმი. . . . .

. . . . . სასოფლო საბჭოსთან მოწყობილი საკონფლიქტო კომისიის სხდომისა. 1930 წლის . . . . . „ . . „

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერლებმა, დამქირავებელმა . . . . . .
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

. . . . . და . . . . . მუშათა სასოფლო
(სახელწოდება მუშ. სას. კომ.) (სარ. კომ.)

კომიტეტის (სარაიონო კომიტეტის) წარმომადგენელმა მუშის (მუშა ქალის) . .

. . . . . სახელით გადაეცით საკონფლიქტო კო-
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

მისიას გადასაწყვეტად დავა . . . . . .

. . . . . .

(გადმოიცეს დავის შინაარსი)

**შენიშვნა.** მუშათა სასოფლო კომიტეტის (სარაიონო კომიტეტის) წარმომადგენელმა, აგრეთვე დამქირმვებელის წარმომადგენელმა, უკეთუ საკონფლიქტო კომისიაში თვით დამქირავებელი არ გამოცხადდება, უნდა წარადგინონ თავიანთი უფლებამოსილობა დავის გადაწყვეტის შესახებ: სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის წარმომადგენელმა—მუშათა სასოფლო კომიტეტის (სარაიონო კომიტეტის) მოწმობა, ხოლო დამქირავებლის წარმომადგენელმა—დამქირავებლის რწმუნებულობა, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს ან სასოფლო საბჭოს რწმუნებულის მიერ.

**მოიხმინეს:** (მოკლე შინაარსი)

| მუშათა სას. კ-ტის მოთხოვნა | დამქირავებლის წინადადება | კომისიის თავმჯდომარის წინადადება |
|---|---|---|
| . . . . . | | |

მხარენი შეთანხმდნენ . . . . . .

. . . . . (დაწვრილებით ჩაიწეროს ყველა გადაწყვეტილება და, უკეთუ დადგენილია სამუშაო ხელფასის გადახდა ან ტანისამოსისა, მარცვლეულისა და სხვ. მიცემა, ზედმიწევნით აღინიშნოს—რამდენი მანეთი და კაპიკი უნდა მიიღოს მუშამ)

მხარენი ვერ შეთანხმდნენ (ხაზი გაესვას).

ხელმონაწერი: 1. საკონფლიქტო კომისიის სხდომის თავმჯდომარისა

. . . . . .

2. სასოფ-სამ. მუშათა კავშირის მუშათა სასოფლო კ-ტის (სარ. კომ.) წარმომადგენლისა . . . . . .

3. მუშისა (მუშა-ქალისა) . . . . . .

4. დამქირავებლის ან მისი რწმუნებულისა . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 44. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

### I. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანები.

1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ძირითად ამოცანებს შინა-ვაჭრობის სფეროში შეადგენს:

ა) შექმნას ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამეურნეო ორგანიზაციები და გადასცეს მათ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე საკამადო მრეწველობის სფეროში დამზადებისა, მომარაგებისა და გადამუშავების დაგეგმვის და უშუალო ოპერატიული მოწესრიგების საქმე;

ბ) ყოველი ღონისძიებით გამოიყენოს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ყველა შესაძლებლობა სასურსათო ბაზისის შესაქმნელად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმოებისა და საქონლიანობის გაძლიერებით ხორცეულობისა, მერძეულობისა, ხილეულ-ბოსტნეულობისა და კვერცხ-ფრინველეულობის საქმეში;

გ) მოაწყოს ა/კსფსრ სამრეწველო რაიონების მომარაგება კვების პროდუქტებით და პირადი მოხმარების საგნებით;

დ) მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საწარმოო გეგმების შემუშავებაში;

ე) შეადგინოს და განახორციელოს კონტრაქტაციის გეგმები;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლის მეურნეობას და სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო და პირადი მოხმარების საგნების დამზადებისა და ამ საგნებით მომარაგების სფეროში;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სასურსათო პროდუქტებისა და ფურაჟის სურროგატირებისათვის წარმოებულ მუშაობას;

თ) მოაწყოს გეგმიანი გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ გაცვლა-გამოცვლას;

ი) მოახდინოს კვების რაციონალიზაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებრივი კვების საქმის განვითარებას;

კ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საკამადო პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვის სხვადასხვა საშუალების შემოღების საქმეს ახალი ტეხნიკის საფუძველზე.

2. სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მისი მოწესრიგების საქმეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ანხორციელებს ამ კოოპერატიულ სისტემათა წესდებების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. სადარგო შენაერთები.

3. ძირითადი საქმიანი პროდუქტების დამზადებისა, შენახვისა და გადამუშავებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას და ამ პროდუქტებით ა/კსფსრ მომარაგების საქმეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი განახორციელებს თავისი სადარგო შენაერთებისა, საკავშირო შენაერთების კონტორებისა და ავრეთვე სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციის სისტემების მეშვეობით.

4. სადარგო შენაერთები ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია. ეს შენაერთები მოეწყობიან დამოუკიდებელი იურიდიული პირის სახით და მოქმედობენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე.

სადარგო შენაერთების შედგენილობაში შედის, სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ავრეთვე სამომხმარებლო და სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია.

კოოპერაცია შენაერთების შედგენილობაში შედის ნებაყოფლობითი წესით, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებისამებრ.

5. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სადარგო შენაერთებისა და საერთო საკავშირო შენაერთების კონტორების (ა/კსფსრ-ში) მთავარ ამოცანებს შეადგენს:

ა) შეიმუშაონ სურსათის დამზადების გეგმები და განახორციელონ ეს გეგმები როგორც შენაერთებში შემავალი ორგანიზაციებისა, ისე, საჭირო შემთხვევაში, შენაერთების საკუთარი აპარატის მეშვეობით;

ბ) შეიმუშაონ მომარაგების გეგმები და განახორციელონ ეს გეგმები სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მეშვეობით;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ და დაგეგმონ საქმიანი მრეწველობის სათანადო დარგებში და შენაერთები შემავალი ესა თუ ის ცალკეული საწარმო და ორგანიზაცია, კერძოდ—დაგეგმონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალურ მშენებლობას და ხელმძღვანელობა გაუწიონ საწარმოთა რეკონსტრუქციას ახალ ტეხნიკურ ბაზისზე;

დ) განახორციელონ თავიანთ საწარმოთა მშენებლობა სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციებისა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების მეშვეობით;

ე) შეიმუშაონ სადამზადებლო, საგასაცემლო და საგამსაღებლო ფასები;

ვ) დანიშნონ და დაითხოონ შენაერთებში შემავალ საწარმოთა ხელმძღვანელი პერსონალი შენაერთების საერთო დებულებისა და მათი წესდებების თანახმად;

ზ) მოაწყონ კონსულტაცია და სამეცნიერო-სატეხნიკო დახმარება შენაერთებში შემავალ ორგანიზაციათა და საწარმოთათვის;

თ) აწარმოონ სასაწყობო მეურნეობის ექსპლოატაცია;

ი) მოამზადონ და გაანაწილონ კადრები.

6. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი დაუყოვნებლივ მოაწყობს საამიერკავკასიო შენაერთებს შემდეგი დარგების მიხედვით: ნედლეულობის

უტლიზაციისა და ხილეულ-ბოსტნეულობისა და დაამტკიცებს ამ შენაერთების დროებითს წესდებებს, ვიდრე გამოიცემოდეს საერთო დებულება შენაერთების შესახებ.

7. შენაერთებში, საერთო წესისამებრ, შედიან ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმონი და ორგანიზაციები და აგრეთვე დიდი მნიშვნელობის ადგილობრივი ორგანიზაციები. შენაერთებში შეიძლება შეიდნენ აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ორგანიზაციები.

იმ საწარმოთა მიმართ, რომელნიც უშუალოდ არ შედიან შენაერთებში ან მათ შედგენილობაში შემავალ ორგანიზაციებში, შენაერთები განახორციელებენ მათი მოქმედების საერთო მოწესრიგების საქმეს.

8. მე-6 მუხლში ჩამოთვლილი შენაერთების მოწყობის საფუძვლად ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს: ხილეულ-ბოსტნეულობისათვის — ამერიკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სახილეულო-საბოსტნეულო განყოფილება, ისეთი პირობით, რომ ამ შენაერთში შედიოდნენ ხილეულ-ბოსტნეული მეურნეობის ძირითადი რაიონების ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები; აგრეთვე შენაერთში სამონაწილეოდ მიიწვევიან ამა დადგენილების მე-4 მუხ. აღნიშნულ პრინციპებზე სამომხმარებლო კოოპერატივების ამერიკავკასიის კავშირი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური ცენტრები; უტილიზაციისათვის — ამერიკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ის განყოფილება, რომელიც უტილიზაციისათვის მუშაობას.

9. ნედლეულობის დამზადებისათვის (თამბაქო, აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავი, კენფი, შირბატი და საუტილიზაციო ნედლეულობა) ხელმძღვანელობის გაწევას ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი განახორციელებს როგორც საერთო-საკავშირო ორგანიზაციების კონტორებისა, ისე არსებული ამერიკავკასიისა და რესპუბლიკანური ორგანიზაციების მეშვეობით, სახელდობრ: „მატყლი“-სა, „ტაბაკსირიო“-ს, „კენაფ“-ისა, „კუნჯუტ“-ისა, „აზშოლკ“-ისა, „საქართველოს აბრეშუმი“-სა და „არმშოლკ“-ის სააქციო საზოგადოებათა კონტორების მეშვეობით.

ნედლეულობის დამზადების სფეროში ზემოდ ჩამოთვლილი ორგანიზაციები მოქმედობენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენაერთებისა და სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენაერთების კონტორების უფლებით.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მათ მიმართ აქვს ამა დადგენილებით გათვალისწინებული სადირექტივო-საგეგმო ხელმძღვანელობის უფლებანი.

10. შენაერთები დამოუკიდებლად აწარმოებენ ოპერატიულ მუშაობას. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ანხორციელებს შენაერთების სადირექტივო-საგეგმო ხელმძღვანელობასა და ინსტრუქტირებას და კონტროლს უწევს მათ მიერ მისი დირექტივებისა, გეგმებისა და ინსტრუქციების შესრულებას.

კერძოდ — ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი:

ა) ამტკიცებს შენაერთების მიერ, მისი დირექტივების საფუძველზე, შედგენილ საკონტროლო ციფრებს დამზადებისა, ვასაღებისა და კაპიტალური მშენებლობის სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამტკიცებს შენაერთების საწარმოო პროგრამებს;

გ) ამტკიცებს, შენაერთების წარდგენით, სადამზადებლო, საგამსაღებლო და საგასამეცნო ფასებს;

დ) ამტკიცებს შენაერთების საფინანსო გეგმებს, ბალანსებს და ანგარიშებს;

ე) ნებასა რთავს შენაერთების სპეციალური კაპიტალების ხარჯვისათვის;

ვ) რევიზიას უკეთებს შენაერთების მოქმედებას;

ზ) ჰნიშნავს და ითხოვს შენაერთების ხელმძღვანელ შედგენილობას;

თ) ამტკიცებს შენაერთების წესდებებსა და საწესდებო კაპიტალებს.

11. სამრეწველო საქონლით მომარაგების სფეროში ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ანხორციელებს:

ა) სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მოქმედებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევას იმით, რომ აძლევს მას დირექტივებს სამრეწველო საქონლით მომარაგების გეგმების შესადგენად და კონტროლს უწევს ამ დირექტივების შესრულებას;

ბ) სახელმწიფო ვაჭრობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მომარაგების სფეროში;

გ) უშუალო განკარგულებას მის გამგებლობაში გადაცემული სამრეწველო საქონლის სარეზერვო ფონდების მიმართ.

### III. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

12. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი — საერთო-საკავშირო შენაერთების ფუნქციების ხაზით — რწმუნებულია სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

13. რადგანაც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სადარგო შენაერთებში და საკავშირო შენაერთების კონტორებში თავმოყრილია დამზადებისა, მომარაგებისა და გადამუშავების ოპერატიული მოწესრიგების, სპერსპექტივო და მიმდინარე ოპერატიული გეგმების შედგენისა, აღნუსხვისა და ანგარიშების წარმოებისა საქმე,—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამ ჟამად არსებული შინა-ვაჭრობის სამმართველოები უქმდება. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობის უმთავრეს შინაარს უნდა შეადგენდეს — შენაერთებისა, კონტორებისა და კოოპერაციის სისტემებისათვის დირექტივების მიცემა და აგრეთვე ამ დირექტივების აღსრულების შემოწმება. ამასთან დაკავშირებით მყარდება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შემდეგი აპარატის სტრუქტურა:

ა) ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია;

ბ) სადირექტივო-საგეგმო სექტორი შემდეგ ჯგუფთა შედგენილობით: დამზადებისა, მომარაგებისა და გადამუშავებისა;

გ) ინსპექციის სექტორი — კაპიტალების გამგებლობის ჯგუფებისა, საერთო ინსპექციის ჯგუფისა და აღნუსხვისა და ინფორმაციის ჯგუფის შედგენილობით;

დ) კადრების სექტორი — აღნუსხვისა და განაწილების ჯგუფებისა და კადრების მომზადების და შემოწმების ჯგუფის შედგენილობით;

ე) საქმეთა მმართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**IV. რეორგანიზაცია ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოებისა, რომელნიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში იმყოფებიან.**

14. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოების რეორგანიზაცია, რომელნიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში იმყოფებიან, უნდა მოხდეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესაბამისად.

15. რადგანაც საქონლის ბრუნვის მოწესრიგების ამოცანები შეიცვალა და და საჭიროა ორგანიზაციულად მომზადდეს საქონლის ბრუნვის საერთო დაგეგმვიდან პროდუქტების სოციალისტურ ვეგმიანობის გაცვლა-გამოცვლაზე გადასვლა, — თვალსაჩინოდ გაძლიერებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოლქო აპარატები. ამისათვის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან უმოკლეს ვადაზე უნდა მოიწყოს ვაჭრობის საოლქო განყოფილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი — სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**45. ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 19-ის დადგენილების თანახმად, რა დადგენილებითაც გათვალისწინებულია სადისციპლინო გადასახდელთა დადება სარკინისგზო ტრანსპორტის იმ მომუშავეთათვის, რომელთაც დაარღვიეს მათთვის დადგენილი ტეხნიკური წესები და მით გამოიწვიეს რკინისგზის მოძრაობასთან დაკავშირებული შემთხვევები.**

რადგანაც გამოიცა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 19-ის დადგენილება „სარკინისგზო ტრანსპორტის იმ მომუშავეთათვის გადასახდელთა დადების შესახებ, რომელნიც დაარღვეევენ მათთვის დადგენილ ტეხნიკურ წესებს და მით გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვევენ რკინის გზის მოძრაობასთან დაკაშირებულ შემთხვევებს“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 49 №-ი, მუხ. 437),—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ა) 1925 წ. სექტემბრის 14-სა „ამიერკავკასიის რკინის გზებზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 20-ის დადგენილების გავრცელების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-9 №-ი, მუხ. 495);

ბ) 1926 წ. მარტის 15-სა „ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლისათვის საჭირო განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ) კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 608).

გ) 1927 წ. იანვრის 31-სა „ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლისათვის საჭირო განსაკუთრებულ ღონისძიებათა თაობაზე—1926 წ. მარტის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 33).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გაიუქმოს შვიდი დღის ვადაზე 1-ლ მუხლში აღნიშნული საკანონმდებლო აქტების განსაკუთარებლად მის მიერ გამოცემული დადგენილებები და ინსტრუქციები.

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 46. დაწესებულებასა და საწარმოში დაწინაურებულ პირთა მუშაობის პირობების შესახებ.

სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში დაწინაურებულ პირთა მუშაობისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

1. ამა დადგენილებით დაწესებული გარანტიები და შეღავათები ვრცელდება იმ პირებზე (დაწინაურებულებზე), რომელნიც ინიშნებიან პასუხსაგებ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაოზე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

2. მუშათა და გლეხთა დაწინაურება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში პასუხსაგებ სამუშაოზე დასანიშნად [აწარმოებენ: ა) საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა მუშების საერთო, საამქრო და (კვლადი კრებები და აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა საწარმოო თათბირები; ბ) პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობები და კონფერენციები; გ) მუშათა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ან საბჭოების სექციები.

დაწინაურება მოხდება იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, სადაც იგზავნება დაწინაურებული; უკეთუ ადმინისტრაციასთან შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, საკითხს გადასწყვეტენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები.

დაწინაურებულთ შეენარჩუნებათ ყველა ის უფლება და შეღავათი (სახალხო განათლებისა, გადასახადით დაბეგვრისა და სხვ. სფეროში), რაც მათ ჰქონდათ დაწინაურებამდე, როგორც მუშებსა და გლეხებს.

3. ყოველ წელს, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებანი და საწარმონი განსაზღვრავენ, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, იმ საშტატო თანამდებობათა რიცხვსა და სახელწოდებას, რომელზედაც უნდა დაინიშნენ დაწინაურებულნი.

დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფესიონალურ კავშირს შორის ამის თაობაზე აღძრულ შეუთანხმებლობას გადასწყვეტენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები.

**შენიშვნა.** სათანადო დამატებითი შეთანხმება პროფესიონალურ კავშირსა და ადმინისტრაციას შორის შეიძლება მოხდეს აგრეთვე წლის განმავლობაშიაც.

4. უკეთუ დაწინაურება იწვევს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, დაწინაურებულს მიეცემა კომპენსაცია ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 82[6] წესისამებრ და, ამის გარდა, დაწინაურებული უზრუველყოფილ უნდა იქნეს სათანადო საბინაო პირობებით.

5. დაწინაურებულის შრომის სასყიდელი განისაზღვრება მისი თანამდებობის მიხედვით, თუნდაც მისი კვალიფიკაცია თავდაპირველად არ შეესაბამებოდეს ამ თანამდებობას; შრომის სასყიდელი, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები არ უნდა იყოს იმ სამუშაო ხელფასზე, რასაც დაწინაურებული დაწინაურების წინ იღებდა.

**შენიშვნა.** იმ დაწესებულებაში, სადაც განხორციელებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ნორმირება, დაწინაურებულს შეიძლება შეეცვალოს დაწესებული ჯამაგირი.

6. დაწესებულებისა და საწარმოს ადმინისტრაცია მოვალეა მიიღოს ყოველი ღონისძიება დაწინაურებულის კვალიფიკაციის წარმატებისათვის და გამოიყენოს იგი სამუშაოზე მისი ინდივიდუალური ნიჭის მიხედვით, აგრეთვე წასწიოს იგი ზემდგომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

7. უკეთუ დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციის მიერ ამა დადგენილების მე-6 მუხ. აღნიშნულ ღონისძიებათა მიღების მიუხედავად, დაწინაურებული მაინც არ გამოდგება მუშაობისათვის, ადმინისტრაციას უფლება აქვს ორი წლის ვადის გასვლამდე (მე-8 მუხ.) აღძრას დამწინაურებელი ორგანიზაციის ან მისი აღმასრულებელი ორგანოს წინაშე საკითხი დაწინაურებულის სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან წინანდელ (დაწინაურებამდე) სამუშაოზე დაბრუნების შესახებ. უკეთუ მომუშავის დამწინაურებელი ორგანიზაცია თანახმაა ადმინისტრაციის წინადადებაზე, დაწინაურებული გადაიყვანება სხვა სამუშაოზე ან დაბრუნებულ იქნება წინანდელ სამუშაოზე.

უკეთუ შეთანხმება ვერ მოხდა მომუშავის დამწინაურებელ ორგანიზაციასთან, საკითხი გადასაწყვეტად შეიძლება გადაეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

8. უკეთუ მომუშავის დამწინაურებელი ორგანიზაცია თანახმა არ არის ადმინისტრაციის წინადადებაზე დაწინაურებულის გადაყვანის ან დათხოვნის შესახებ და მიღებულ არ იქნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის საამისო სანქცია, დაწინაურებული არ შეიძლება დათხოვნილ ან გადაყვანილ იქნეს ორი წლის ვადის გასვლამდე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სანქციის გარეშე.

ასეთ შემთხვევაში დაწინაურებულის დათხოვნისათვის დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაცია მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, ხოლო დაწინაურებული დაუყოვნებლივ აღიდგენილ უნდა იქნეს სამუშაოზე.

9. ორი წლის ვადის გასვლისას დაწინაურებული შეიძლება დათხოვნილ იქნეს საერთო საფუძველზე.

ორი წლის ვადის გასვლისას დაწინაურებულის დათხოვნა შტატის შემცირების გამო შეიძლება მხოლოდ უკანასკნელ რიგში.

**შენიშვნა.** უკეთუ დაწინაურებული ჩაიდენს თავის მუშაობის ადგილას სისხლის სამართლის დანაშაულს, ან უკეთუ იგი მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოს მიერ მიცემულ იქნება პასუხისგებაში აშკარა უთადარიგობისა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისათვის, იგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საერთო საფუძველზე.

10. იმ დაწინაურებულს, რომელიც დაწინაურების წესით მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილ იქნება დაწესებულებისა თუ საწარმოს ლიკვიდაციისა, მუშაობისათვის გამოუსადეგობისა ან ავადმყოფობის გამო, აგრეთვე იმ დაწინაურებულს, რომელიც დასტოვებს სამუშაოს თავისი სურვილით, უფლება აქვს, პირველი სამი თვის განმავლობაში დათხოვნის შემდეგ, დაუბრუნდეს წინანდელ თავის სამუშაოს იმ დაწესებულებასა და საწარმოში, სადაც იგი დაწინაურებამდე მუშაობდა.

უკეთუ იმ დაწესებულებასა ან საწარმოში, სადაც დაწინაურებული დაბრუნდა, არ მოიპოვება სათანადო მუდმივი ადგილი, დაწესებულებას თუ საწარმოს უფლება აქვს დაითხოვოს ვინმე მომუშავე მისი ადგილის დაბრუნებული დაწინაურებულისათვის მისაცემად.

11. თვითეულ დაწესებულებასა და საწარმოში ადმინისტრაცია გამოჰყოფს პასუხისმგებელ ხელმძღვანელ მომუშავეთაგან სპეციალურ პირს, რომელსაც და-

ავალებს დაწინაურებულთა გამოყენებისა და მუშაობისათვის თვალყურის დევნას; ხოლო ეს არ ანთავისუფლებს დაწესებულების ხელმძღვანელს პირადი პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ მის ქვემდებარე აპარატში შეიქმნება არახელსაყრელი პირობები დაწინაურებულთა მუშაობისათვის.

12. სახალხო კომისარიატები, აღგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოები მოვალენი არიან მოაწყონ, პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით, დაწინაურებულთა წინასწარი მომზადება და სწავლება იმ სამუშაოს შესაბამისად, რაზედაც ისინი ინიშნებიან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### 47. საბინაო-საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

საბინაო-კოოპერატიული მოძრაობის განმტკიცებისათვის ხელის შესაწყობად და მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს, სათანადო კოოპერაციის კავშირების საქმეში ჩაბმით, უზრუნველჰყონ, რათა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა განახორციელონ „საბინაო მეურნეობის ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) მე-6 მუხ. „ვ“ ლიტერით მათთვის მინიჭებული უფლება, რომ ხუთი პროცენტი მათ მიერ ოჯარით აღებული სახლების საერთო შემოსავლისა მიაქციონ ამ სახლების მცხოვრებლების საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის კოლექტიური მომსახურეობის გაწევის საქმეს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები შეტანილ უნდა იქნეს სახლთმფლობელთათა ნორმირებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ საექსპლოატაციო ხარჯებში, ისე კი, რომ გადიდებულ არ იქნეს კანონით დაწესებული საბინაო ქირა.

2. დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს, 1930-31 საბიუჯეტო წლიდან დაწყებული, გაითვალისწინონ ხოლმე საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა განკარგულებაში ამხანაგობების მიერ იჯარით აღებული სახლების არასაცხოვრებელი სადგომების შემოსავლის ოც პროცენტამდე დატოვება, იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ამ სახლების სააღმდგენო რემონტზე დაიხარჯოს არა ნაკლებ სახლის ღირებულების ხუთმეტი პროცენტისა.

3. დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს, რომ როდესაც საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი იჯარით აიღებენ სადგომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოსაწყობად, ქირა დაიწესონ არა უმეტეს საბინაო ქირის არსებული ტარიფის ორმოცდაათი პროცენტისა.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების გამოყენების გეგმებში გაითვალისწინონ ხოლმე, გრძელვადიანი დაკრედიტების საფუძველზე, თანხების გამოყოფა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემული სახლების კაპიტალური რემონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საბინაო ფონდის ადგილობრივი სპეციალური კაპიტალების სახსარიდან სესხი უნდა გაიცეს ვადით ორი წლიდან რვა წლამდე სესხის რაოდენობისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ბიუჯეტის მდგომარეობის მიხედვით. ასეთი სესხის საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სამ პროცენტს წლიურად.

5. დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს მოახდინონ 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის კომუნალური მეურნეობის ორგანოების მიერ სახლების უშუალო ექსპლოატაციის ლიკვიდაცია (სამანევრო ფონდში შემავალი სახლების გამონაკლისით)—საბინაო-საიჯარო კოოპერაციის შემდეგი განვითარებით და სახლის ტრესტების მოწყობით, აგრეთვე სახლების იჯარად გაცემით საწარმოთა საბინაო საჭიროებისათვის და სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოთავსებისათვის.

6. დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს—საბინაო-საიჯარო კოოპერატივებისათვის საიჯარო ქირის დაწესების დროს და საბინაო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სავაჭრო-სასაწყობო სადგომების შემოსავლის ანარიცხების განსაზღვრის დროს—მხედველობაში მიიღონ, რომ საჭიროა საბინაო კოოპერაციისათვის შეიქმნას ისეთი პირობები, რაც ხელს შეუწყობს ბინათა ნორმალურ ექსპლოატაციას, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ ხელსაყრელი პირობები, ვიდრე სახლის ტრესტებისათვის; კერძოდ—გადასახადთა სფეროში საბინაო-საიჯარო კოოპერაცია გათანაბრებულ უნდა იქნეს სახლის ტრესტებთან.

კომუნალური ბანკების მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებსა და სახლის ტრესტებს შორის სარემონტო კრედიტების განაწილების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს: ა) რამდენად დაძველებულია სახლები; ბ) როგორია სოციალური შედგენილობა იმ სახლის მეხოვრეებლებისა, რომელსაც რემონტი უნდა გაუკეთდეს, და რა მდგომარეობაშია სახლის ბიუჯეტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 48. სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84) დამტკიცებული „მუშათა ბინათმშენებლობის ხელის შემწყობ ღონისძიებათა დებულების“ 49 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივი კომუნალური ორგანები, სასანიტარო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად, დააწესებენ იმ მიწის ნაკვეთების რაოდენობასა და სივრცეს, რაც საჭიროა მუშათა ბინათმშენებლობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე განსაზღვრავენ მისაჩენ ნაკვეთთა რაიონებსა და თვით ნაკვეთებს.

2. მუშათა ბინათმშენებლობის საჭიროებათათვის მისაჩენ მიწის ნაკვეთთა რაიონების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ცალკეულ საქალაქო რაიონების მნიშვნელობა და მიწის ნაკვეთებისა და კომუნალურ ნაგებობათა (წყალსადენისა, კანალიზაციისა, ელექ.-სინათლისა, გზებისა, მოკირწყვლისა და სხვ.) რაც შეიძლება მიზანშეწონილი გამოყენება.

3. შენობის ასაგებად მიწის ნაკვეთების დანიშვნა ქალაქის ან დასახლებული ადგილის ფარგლებში უნდა მოხდეს დაგეგმვის დამტკიცებული საერთო პროექტის თანახმად, ხოლო უკეთუ ასეთი პროექტი არ არსებობს,—ქალაქის თუ დასახლებული ადგილის ცალკეული რაიონის დაგეგმვის ნაწილობრივი პრო-

ექტის თანახმად,—ამ ნაკვეთების შესატანად დასახლებული ადგილის საერთო გეგმაში; ამასთანავე, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს უწყებული დასახლებული პუნქტის განვითარებისა და კეთილმოწყობის პერსპექტივები.

4. მუშათა ბინათმშენებლობის საჭიროებათათვის მიწის ნაკვეთების არჩევის დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) საალნაგო ნაკვეთის სანიტარული ვარგისობა;

ბ) ნაკვეთის სათანადო სივრცე სამშენებლო წესებთან შესაბამისად;

გ) დაგეგმვის პროექტთან შესაბამისობა;

დ) საალნაგო წესების დაცვა.

5. მუშათა ბინათმშენებლობისათვის ახალი რაიონების მიჩენის დროს კომუნალურმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სამუშაოთა სპეკრსპექტივო გეგმაში კეთილმოწყობის ნაგებობებით რაიონების უზრუნველყოფა მით, რომ რაიონი შეუერთონ არსებულ კომუნალურ ნაგებობებს, ხოლო იქ, სადაც ეს ნაგებობანი არ არსებობს,—უზრუნველჰყონ რაიონი კეთილმოწყობის მარტივი ტიპის ნაგებობებით, რაც აუცილებლად უნდა დაუკავშირონ ქალაქის ან დასახლებული ადგილის კეთილმოწყობის განვითარების საერთო გეგმას.

6. წინასწარი მუშაობა, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების საალნაგოდ მიჩენასთან, კომუნალურმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ წინდაწინვე, დროულად, ისეთი ვარაუდით, რომ ნაკვეთები მიჩენილ იქნეს არა უგვიანეს სამშენებლო წლის წინამორბედი ზაფხულისა და რომ მეალნაგეებმა გამოიყენონ სამშენებლო სეზონის შემოდგომისა და ზამთრის პერიოდები მიწის სამუშაოების საწარმოებლად, სძირკვლის ჩასაყრელად, საშენი მასალის დასამუშავებლად და სხვა სასამზადისო სამუშაოების შესასრულებლად.

7. მუშათა ბინათმშენებლობისათვის საგეგმო წესით ნაკვეთების გამოყოფა, აგრეთვე აღნაგობის უფლებით შენობების გაცემა აღსადგენად, დასაშენებლად და დასამთავრებლად კომუნალურმა ორგანოებმა ყოველ წელს უნდა აუწყონ ხოლმე მოსახლეობას.

8. კომუნალურმა და საადგილმამულო ორგანოებმა თავიანთი მოთხოვნა იმის შესახებ, თუ მიწის ნაკვეთების მიჩენის თაობაზე შეტანილ განცხადებებში რა ცნობები იქნეს წარდგენილი, უნდა განსაზღვრონ შემდეგით:

ა) აღნაგის სახელწოდება;

ბ) საპირო მიწის ნაკვეთის სივრცე და ამ სივრცის დასაბუთება;

გ) საცხოვრებელი შენობების განზრახული მასალა და ამ შენობების ტიპი;

დ) შენობის აგების ვადა;

ე) მეალნაგესათვის სასურველი რაიონი მისაჩენი მიწის ნაკვეთებისა.

9. განცხადება საალნაგოდ მიწის მიცემის შესახებ კომუნალურმა და საადგილმამულო ორგანოებმა უნდა განიხილონ—კუთვნილებისამებრ—ორი კვირის განმავლობაში განცხადების შეტანის დღიდან.

10. საალნაგოდ მიწის ნაკვეთების ფაქტიური მიჩენა ქალაქისა და დასახლებული ადგილის ფარგლებში უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაზე განცხადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვის დღიდან, ხოლო ქალაქისა თუ დასახლებული ადგილის გარეულ მდებარე ნაკვეთებისა—სამი თვის ვადაზე.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთები უნდა მიეჩინოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს, საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნეს საბინაო კოოპერაციის სათანადო კავშირთან.

11. საჩივარი კომუნალური ან საადგილმამულო ორგანოების მოქმედებაზე საალიგო ნაკვეთების გამო შეტანილ უნდა იქნეს საქალაქო საბჭოში ან ზემდგომ საადგილმამულო ორგანოში—კუთვნილებისამებრ. საჩივარი განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა საჩივრის შეტანის დღიდან. უკეთუ საჩივარი ადგილობრივ დაკმაყოფილებულ არ იქნა, მოჩივრანს შეუძლიან მიმართოს ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტს—მიწის ნაკვეთების მიმჩენი ორგანოს ცნობის თანდართვით.

12. მუშათა ბინების ასაგებად საჭირო მიწის ნაკვეთები გაიცემა აღნაგობის უფლების ხელშეკრულების დადებით უკიდურეს ვადებზე, რაც დადგენილია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით, უკეთუ შენობა ახლად იგება და არანაკლებ სათანადო უკიდურესი ვადის $^2/_3$-სა, უკეთუ ნაკვეთები გაიცემა შენობის აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად და გადასაკეთებლად.

**შენიშვნა 1.** შენობის დაწყების ვადა დაწესებულია ერთ წლამდე ხელშეკრულების დადების დღიდან; შენობის დამთავრების ვადა დაწესებულია ორ წლამდე, რვა წლამდე გადიდებით იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც მიზნად ისახავს დასახლებული ადგილების გაშენებას ან სახლების ჯგუფების აშენებას.

**შენიშვნა 2.** უკეთუ აღმნაგი არ დაიწყებს შენობას ან არ დაამთავრებს მას ამა დადგენილებაში აღნიშნულ ვადებზე, საქალაქო საბჭოს უფლება აქვს მოშალოს მასთან დადებული აღნაგობის უფლების ხელშეკრულება.

13. აღნაგობის უფლების ხელშეკრულებით გაცემული მიწის ნაკვეთებისათვის ქალაქად, მუშით დასახლებულ ადგილებში და სააგარაკო ადგილებში გადახდევინებულ უნდა იქნეს მიწის რენტა ამ რენტის სპეციალური კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე. საიჯარო ქირის გადახდევინება აღნიშნული ნაკვეთებისათვის არ შეიძლება.

14. მიწის ნაკვეთზე მდებარე და მეაღნაგეთათვის აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად, გადასაკეთებლად ან სხვაფრივ გამოსაყენებლად გადაცემული მუნიციპალური შენობისათვის საიჯარო ქირა გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგ საფუძვლებზე: მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას, სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს მუშების დასაბინავებლად გადაცემული შენობისათვის და იმ მეაღნაგეთ—მუშებისა და მოსამსახურეებისა და ბინის ქირის გადახდევინების სფეროში მათთან გათანაბრებულ პირთა რიცხვიდან,—რომელნიც საცხოვრებელ სახლებს პირადი გამოყენებისათვის აგებენ, გადაჰხდებათ ამორტიზაცია ისეთი როოდენობით, რაც არ აღემატება წელიწად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ქვის შენობის ღირებულების ერთ პროცენტს და ხის შენობის ღირებულების ორ პროცენტს.

15. მეაღნაგეთათვის აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად, გადასაკეთებლად ან სხვაფრივ გამოსაყენებლად მუნიციპალური სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო ხასიათის შენობის გადაცემის დროს, ან ისეთი საცხოვრებელი შენობისა, რომელიც არ შეიცავს ოცდაბუთ პროცენტზე მეტი რაოდენობის ფართობს სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო დანიშნულებისას,—აღნაგობის უფლების ხელშეკრულების პირობებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საიჯარო ქირის გადახდევინება გადაცემული შენობისათვის ან ამ შენობის გამოსყიდვა აღმნაგების მიერ.

ასეთი შენობის საიჯარო ქირისა და გამოსყიდვის თანხის რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შეთანხმებით, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს გადასაცემი შენობის ღირებულება და შემოსავლიანობა.

16. ქალაქში და მუშებით დასახლებულ ადგილებში მდებარე იმ ცარიელ მიწის ნაკვეთებზე, რაც გაცემულია აღნაგობის ხელშეკრულებით 1929 წ ოქტომბრის 1-დან, საიჯარო ქირის გადახდევინება უნდა შეიცვალოს მიწის რენტით.

უკეთუ იმ ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია მიწის ნაკვეთის შესახებ—მასზე მდებარე მუნიციპალური შენობითურთ—გათვალისწინებულია საიჯარო ქირა ისე, რომ განსაზღვრული არ არის საიჯარო ქირა მიწის ნაკვეთისათვის ცალკე და საიჯარო ქირა შენობისათვის ცალკე,—ეს ხელშეკრულება გადასინჯულ უნდა იქნეს ექვსი თვის ვადაზე ამა დადგენილების შესაბამისად.

1929 წ. ოქტომბრის 1-დან ხელშეკრულების გადასინჯვამდე მიწის ნაკვეთისათვის ზედმეტად მიღებული საიჯარო ქირა უნდა ჩაითვალოს შემდგომ მისაღებ გადასახდელში.

17. ის ჩამოსართმევი მუნიციპალიზებული შენობა როგორც ქალაქის განაპირა ადგილას, ისე ცენტრში, რომელიც დანიშნულია დასაქცევად, მოკუთვნებულ უნდა იქნეს უპირატესად მუშათა ბინათმშენებლობის საჭიროებისათვის.

18. ყველა იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს მუშათა ბინათმშენებლობას, ადგილობრივი ორგანრები მიუჩენენ შეღავათიან პირობებზე თავისუფალ კარიერებს საჭირო რაოდენობის ქვიშისა, ქვისა და თიხის ამოსაღებად.

19. ქვის სამტვრევი ადგილებისა, კარიერებისა, აგურხანებისა და ხეტყის მასალის სახერხი ქარხნების ოჯარით გაცემის დროს ამა დადგენილების მე-18 მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს აქვთ უპირატესობა ყველა კერძო მაძიებლის წინაშე. საყოველთაოდ გავრცელებული წაიღისეულის საბადოები (სსრკ სამთო დებულების მე-15 მუხ.—სსრკ კან. კრ. 1927 წ. 68 №-ი, მუხ. 688) გაიცემა ადგილობრივი ორგანოების მიერ სახელმწიფო და კოოპერატიული მშენებლობის საჭიროებისათვის სათანადო რაოდენობით უფასოდ.

20. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ორი თვის ვადაზე შეუთანხმონ თავიანთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობა ამა დადგენილებას, გამოსაცენ•სათანადო ინსტრუქცია მის შესაფარდებლად და დააწესონ, საჭირო ნაკვეთის რაოდენობისა და მისი მდებარეობის რაიონის მიხედვით, იმ საცხოვრებელი ფართობის მაქსიმალური ოდენობა, რაც მეაღნაგემ უნდა ააგოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**49. „სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების დამატების შესახებ.**

„სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების დამატების შესახებ გამოქვეყნებული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ის დადგენილების შესაბამისად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-2 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 116) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნულ სახლებში, რასაც სამრეწველო საწარმონი გადასცემენ მუშებით დასახლებული ადგილების საბჭოებს, განსაკუთრებული კანონის თანახმად, საცხოვრებელი სადგომების

ქირა ამ სახლების გადაცემამდე დაწესდება ადგილობრივი საბჭოების ახალი განაკვეთების მიხედვით“.

2. აღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** 1, 2 და 4 მუხლებში აღნიშნული საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთ სამრეწველო საწარმოთა მიერ მუშებით დასახლებული ადგილების საბჭოებისათვის გადასაცემ სახლებში, განსაკუთრებული კანონის თანახმად, სპეციალური საბინაო ზედნართები მიეცემათ საწარმოთაგან აღნიშნული სახლების მუშებით დასახლებული ადგილების საბჭოებისათვის გადაცემის შემდეგაც“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 18.
ტფილისი — სასახლე.

---

## დადგენილება № 216 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 50. საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის მსვლელობის შესახებ — 1930 წ. თებერვლის 10-სათვის ქონებული ცნობების მიხედვით.

მთელი რიგი დადგენილებებისა და კათეგორიული მოთხოვნების მიუხედავად, კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული სათესლე ფონდების შეგროვება შეუწყნარებელი დაუდევრობით სწარმოებს, რაც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიას ჩაშლას უქადის. მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება—საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის მსვლელობის თაობაზე 1930 წ. თებერვლის 10-ვის ქონებული ცნობების მიხედვით,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების მთავრობებსა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული სათესლე ფონდების სრულად შეგროვება არა უგვიანეს 1930 წ. თებერვლის 25-სა;

ბ) თესლი ჩაბარებულ უნდა იქნეს განსაზოგადოებულ ფონდებში თესვის კამპანიის გეგმით გათვალისწინებული ძირითადი კულტურების სრული შესაბამისობით, ბამბისა და კენაფის გამოკლებით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსაზოგადოებულ სათესლე ფონდებში ხორბლისა, ქერისა, კარტოფილისა და სიმინდის (დასავლეთ საქართველოში) ჩაბარებას ისეთი რაოდენობით, რაც სრულად უზრუნველჰყოფს თესვის გეგმას;

დ) ახლად მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული სათესლე ფონდების შეგროვება დამთავრებულ უნდა იქნეს ამ კოლექტიურ მეურნეობების საორგანიზაციო გაფორმებასთან ერთად;

ე) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მთავრობებს — გაადიდონ ხოლმე დავალებანი განსაზოგადოებული სათესლე ფონდების შეგროვებისათვის, კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვისა და განსაზოგადოებული ნათესლების რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. თებერვლის 20.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 46 №-ში 1930 წ. თებერვლის 21-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1006 დაიბეჭდა 850